

DON CRISTOFORO DE CASTEL -
THE CREATOR OF THE GEORGIAN PICTORIAL CHRONICLE

დონ კრისტოფორო დე კასტელი -
საქართველოს ფერწერული მატრიანის შემქმნელი

ELDAR MAMISTVALISHVILI

Doctor of Historical Sciences,
Professor, Gori State University,
Georgia, Gori, Chavchavadze St., N53,1400,
+9955 99117703, eldarmamistvalishvili@rambler.ru,
<https://orcid.org/0000-0002-5978-7624>

Abstract:

Don Cristoforo de Castelli's activities in Georgia were not confined to a single field. At first glance, his highest duty as a missionary would appear to have been the preaching and dissemination of the Word of God. However, his devoted service to the local population—which created a favorable environment for the successful fulfillment of his mission—meant that Castelli simultaneously acted as a pharmacist and healer, a politician and diplomat; he fought against human trafficking, painted and adorned Georgian Orthodox churches, and generally engaged in artistic work. It is difficult to name an aspect of Georgian life that was not reflected in his drawings and sketches.

The letters, drawings, and accompanying inscriptions left by Don Cristoforo hold immense value for the study of Georgian history, ethnography, and, more broadly, Castelli's artistic legacy within Georgian culture—a subject of great interest to Georgian scholars and researchers.

Currently, seven albums of Castelli's drawings are preserved in the Municipal Library of Palermo (3Qk E-92, E-93, E-94, E-95, E-96, E-97). His letters and various records are kept in the archives and libraries of Rome, Florence, and Naples. One particular relation—*“Mission to Many Infidel Lands”*—is preserved in the library of the Theatine house of Sant'Andrea della Valle (Skhirtladze, 2014). He was a proud relative of Cardinal Andrea della Valle, after whom a street and the church *Sant'Andrea della Valle* in Rome were named (Pietro della Valle, 1892, vol. 1). Could this library be located in the same house that Don Pietro della Valle gifted to the mission in Gori? (Tabaghua I., 1987:137).

In addition to various writings and treatises, Castelli compiled over a thousand ethnological and historical drawings and sketches, demonstrating notable design skill. He created a kind of illustrated diary that captured episodes of his missionary adventures, scenes of daily life, games, amusements, household structures, churches, and fortresses. Also included are depictions of various buildings, churches, fortresses, village landscapes, and scenes of the local population's daily work. He produced portraits of Georgian princes and both famous and unknown historical figures. His works depict the costumes of various peoples, and finally, there is a group of drawings dedicated to religious and fantastical themes (Luigi Cajani, 1978). According to Castelli himself, he undertook this work at the request of the Sacred Congregation for the Propagation of the Faith (*Propaganda Fide*) (Licini P. A. 1985: 59).

Keywords: Castelli; Urbano VIII; karavaggio; Stwefano della Bella; Georgia; Teimuraz I.

ელდარ მამისთვალიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
 გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
 საქართველო, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., N53, 1400,
 +9955 99117703, eldarmamistvalishvili@rambler.ru,
<https://orcid.org/0000-0002-5978-7624>

აბსტრაქტი:

დონ ქრისტოფორო დე კასტელის საქართველოში მოღვაწეობა არ შემოიფარგლებოდა ერთი რომელიმე მიმართულებით. ერთი შეხედვით მისთვის თითქოს უმაღლესი მოვალეობა, როგორც მისიონერისა უნდა ყოფილიყო ღვთის სიტყვის ქადაგება და გავრცელება. მისი ერთგული სამსახური ადგილობრივი მოსახლეობისადმი, რაც მისი დანიშნულების წარმატებით დაგვირგვინებისათვის ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა, იყო ის, რომ კასტელი იმავდროულად ყოფილიყო ფარმაცევტი და მკურნალი, პოლიტიკოსი და დიპლომატი, იბრძოდა ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ, ხატავდა და ამშვენებდა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს, ზოგადად ეწეოდა მხატვრობას. ძნელია დავასახელოთ საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების რომელიმე მხარე, რომელიც არ აისახა მის ნახატებსა და ესკიზებში. დონ ქრისტოფოროს მიერ დატოვილ წერილებს, ნახატებს და მათზე დართულ წარწერებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის და, ზოგადად, კასტელის შემოქმედებით შემკვიდრეობას ქართული კულტურის შესასწავლად, რასაც დიდ ყურადღებას უთმობენ ქართველი მკვლევარ-მეცნიერები.

პალერმოს მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში (3Qქ E-92, E-93, E-94, E-95, E-96, E-97) ამჟამად დაცულია კასტელის ნახატების შვიდი ალბომი; რომის, ფლორენციისა და ნეაპოლის არქივებსა და ბიბლიოთეკებში ინახება მისი წერილები, სხვადასხვა ჩანაწერები, ხოლო ერთი რელაცია კი – `მისია მრავალ ურწმუნო ქვეყანაში~, დაცულია სანტ ანდრეა დელა ვალეს თეატინელთა სახლის წიგნსაცავში (სხირტლაძე ზ., ჩიხლაძე მ., 2014). კარდინალი ანდრეა დელა ვალეთა ოჯახის საამაყო ნათესავი იყო. მისი სახელი ეწოდა რომის ერთ-ერთ ქუჩას და ეკლესიას – „სანტ ანდრეა დელა ვალე“ (Pietro della Valle, 1892, v. 1). ეს წიგნთსაცავი იმ სახლში ხომ არ არის განთავსებული, რომელიც დონ პიეტრო დელა ვალემ გორის თეატინელთა მისიას აჩუქა? (ტაბაღა, 1987: 137).

სხვადასხვა ჩანაწერები, თხზულებანი, ეთნოლოგიური და ისტორიული შინაარსის ათასზე მეტი ნახატი და ჩანახატი, დიზაინერის გარკვეული უნარის დემონსტრირებით, კასტელმა შეადგინა ერთგვარი ორიგინალური დღიური სურათებით, რომელიც ასახავდა მისი მისიონერული თავგადასავლების ეპიზოდებს, ყოველდღიური ცხოვრების სცენებს, თამაშებს, ატრაქციონებს, საყოფაცხოვრებო ნაგებობებს, ეკლესიებს და ციხესიმაგრეებს. შემდეგ არის სხვადასხვა სოფლების იერსახეების და მოსახლეობის საქმიანობის ამსახველი ნახატები; მან შექმნა ქართველი მთავრებისა და ცნობილი ისტორიული და უცნობი პერსონაჟების პორტრეტები. ნახატებში წარმოდგენილია სხვადასხვა ხალხების კოსტიუმები, და ბოლოს, არის ნახატების ჯგუფი, რომელიც ეხება რელიგიურ და ფანტასტიკურ თემებს (Luigi Cajani, 1978). მან ასეთი სამუშაო, მისივე გადმოცემით, შეასრულა პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციის დავალებით.

საკვანძო სიტყვები: კასტელი; ურბან VIII; კარავაჯო; სტეფანო დელა ბელა; საქართველო; თეიმურაზ I.

შესავალი: წინამდებარე სტატიაში იტალიელი თეატიანელი მისიონერის დონ კრისტოფორო კასტელიოს წერილებისა და ნახატების მიხედვით, სრულიად ახლებურად არის მისი, როგორც ხელოვანის, შემოქმედება, ვცადე დამედგინა რომელ მხატვარზე მოახდინა გავლენა მისმა ხელოვნებამ, ან პირიქით, განიცადა თუ არა მან, რომელიმე წინამორბედი ან თანამედროვე მხატვრის გავლენა. დგინდება, რომ კასტელმა სერიოზული გავლენა განიცადა პოლიდორო დე კარავაჯოს, ხოლო კასტელის გავლენა განიცადა სტეფანო დელა ბელამ.

მეთოდები: წარმოდგენილ ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: ემპირიული ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, კონტენტ-ანალიზი, სისტემური ანალიზი.

შედეგები და მსჯელობა:

საქართველოში წამოსვლის წინ კასტელმა, ისევე, როგორც მისმა თანამგზავრმა მისიონერებმა მიიღეს სრულიად გარკვეული დავალება პროპაგანდა ფიდეის კონგრეგაციისგან და თითქმის ყველაფერი საქართველოში ნანახი ნახატებად აქცია: *„წმ კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეის ბრძანებით, პორტრეტებთან ერთად ვინიშნავდი ამ მხარის შედარებით უფრო ღირსეული მთავრებისა და მეფეების, რომელთაც ვემსახურებოდი ექიმის ამპლუაში, სახელებს, გვარებს, მათი მამის, დედის დაბადების წლების ჩვენებით“* (დონ კრისტოფორო დე კასტელი, 2009: 67).

ცნობილია, რომ თეოლოგიას, ფილოსოფიას და სხვა საგნებს, მათ შორის მედიცინას და მხატვრობას ახალგაზრდა დონ კასტელი ეუფლებოდა პალერმოში, მაგრამ არ ვიცით ვინ იზენენ მისი მასწავლებლები. სხვა საგნებზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ სახეზეა, კრისტოფოროს მხატვრული შემოქმედება და შეიძლება ითქვას, რომ მას მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებელი/მასწავლებლები წვრთნიდნენ. დონ კრისტოფოროს ალექოდან გაგზავნილი ერთ-ერთი წერილიდან (25.04.1632) ვიგებთ იმ მხატვრების შესახებ, რომლების შემოქმედებითაც კასტელი იყო შთაგონებული, და ისიც ჩანს, რომ ეკონომიურ გაჭირვებაში ჩავარდნილი მისიონერები როგორ იმსუბუქებდნენ გაჭირვებულ მდგომარეობას კასტელის ფერწერით. ისიც ჩანს, რომ მას საკმაოდ იცნობდნენ მხატვართა წრეში, ყოველ შემთხვევაში ტოსკანას საჰერცოგოსა და მხატვრობით სახელგანთქმულ მის დედაქალაქ ფლორენციაში. დონ არკანჯელო კასტელი ალექოდან მიმართავს უცნობ სასულიერო პირს:

*„უწმინდესო მამაო ქრისტეში, ჩემო დაკვირვებულო მამა
იდიდოს უკუნისამდე ყოვლადწმინდა სამება,*

რომ მისი სახელით ოთხ დღეში დავტოვებთ ალექო და წავალთ ჩვენი ძვირფასი საქართველოსკენ. მივდივართ ასკაციანი მცირე ქარავნით. უფალი უფრო მეტად დაგვიფარავს, რაც შემძლია, გთხოვთ ღმრთის სიყვარულისთვის, მთელი მონდომება გამოიჩინოთ, რომ გამომიგზავნოთ დიდი რაოდენობით ყველანაირი ფერის საღებავები, ასევე ფუნჯები, განსაკუთრებით დიდი [ფორმატის] სურათების შესაქმნელად, აუცილებლად ნაზი მატყლი, კარგი ფირუზი, კარგი ლილა, უკვე გამწვანებული იდოლინო (კერპი?). რათა ბაზარში კარგი სხვადასხვა რამეები იყიდონ, რჩევა ჰკითხოთ რომელიმე მხატვარს. ასევე ყოველთვის საჭიროა ბევრი ანაბეჭდები ისეთი შესანიშნავი მხატვრების ნამუშევრების, როგორც არიან: პოლიდორო და კარავაჯო,² პარმაჯანო, ანტონიო და კორეჯო, ტიციანო, ილ ბასანი, პიტერ პაოლო რუბენსი, გუერჩინო და ჩენტო, ანდრეა დელ სარტო, დი გავიო

გლანდინელი და სხვა მათი მსგავსნი, სხვა ერთგულებთან ერთად. რადგან ამ მხარეებში წმინდა გამოსახულებათა დიდი ნაკლებობაა იმ დევნის გამო, რაც მათ განიცადეს და განიცდიან აქაური ხალხისგან. იმედი მაქვს განვაახლო ისინი მათთან ერთად. ეს იქნება მისი ღვთაებრივი უდიდებულების დამსახურება, რადგან მისი ხელით მომეცა ძალა.

წმინდა ტერეზას მამებს სურდათ, მათი ეკლესიისთვის გაგვეკეთებინა რამდენიმე ხუთი მტკაველის სიმაღლის ნამუშევარი, ანუ წმინდა ელიას³, წმინდა ელისეოს, წმინდა იოსების, წმინდა ტერეზას, რაშიც დაიხარჯა მცირეოდენი საღებავი. დარჩენლი საღებავის მცირე ნაწილი კი დაიხარჯა მმა ჩერეტის პორტერეტისათვის, პიროვნების, რომლისგანაც მივიღეთ ბევრი მოწყალება და ასევე ჩვენი სხვა მამებისათვის, რომლებიც აქ არიან, მისი განსაკუთრებით მორწმუნე თავდადებული წმინდა ფილიპე ნერიოს⁴ სურათი. ზემოხსენებულ მამებს ასევე სურდათ ქრისტე ჯვარზე, მათი ერთ-ერთი დიდი ქველმოქმედისთვის, რომელსაც ისინი დიდი სიამოვნებით ემსახურებოდნენ.

საფრანგეთის კონსულს და სხვა ბატონებს სურდათ სხვა სურათები, რის შესრულება შეუძლებელია საღებავებისა და დროის არქონის გამო, რასაც ვერაფერს დავამატებ. ვუგზავნი უგულწრფელეს სურვილებს ყველა ჩემ წმინდა მამებს, ჩვენმა უფალმა იზრუნოს მათზე და მეც მაქციოს წმინდანად. წმინდანებს და შენს მამობას მივუძღვნი კომპლიმენტს ჩემს მიმართ თქვენი წმინდა სურვილებისათვის.

ალეპოდან, 1632 წლის 25 აპრილი⁵ (იხ. დანართი 1).

აგრეთვე დიდად საინტერესოა დონ კასტელის მიერ გორიდან გაგზავნილი მოკლე ბარათი, რომელსაც არ ახლავს რიცხვი და ადრესატი. მაგრამ უეჭველია, რომ იგი ზემოთ ციტირებული წერილის გაგრძელებაა. ბარათი იმითია მნიშვნელოვანი, რომ იქიდან ვიგებთ დონ კრისტოფორო კასტელის უკვე საკმაოდ ცნობილ მხატვრია. ეს არ იყო უმნიშვნელო პოზიცია მხატვრებით სახელგანთქმულ იტალიაში. კასტელის მოკრძალებულ წარმოდგენას და მსჯელობას თუ გავითვალისწინებთ საკუთარ პიროვნებაზე, დავრწმუნდებით, რომ მას გაცნობიერებული აქვს, რომ იცნობდნენ და პატივს სცემდნენ მხატვართა საზოგადოებაში და ანგარიშს უწევდნენ მის სიტყვას და საქმისადმი დამოკიდებულებას. მისი ბარათიდან ისიც გამოსჭვივის, რომ მას კარგად აქვს გაცნობიერებული თავისი წონა, გავლენა და ადგილი ფერმწერ მოღვაწეებსა და ამ საქმიანობით დაინტერესებულ (თუნდაც კომერციული ინტერესების მქონე) ადამიანთა შორის:

„თქვენს მამობას თავმდაბალი მსახური კორედან, რომელსაც უყვარხართ, ვამთავრებ [წერილს], მოკრძალებული მსახური კრისტოფორო კასტელი კიერიკო რეგოლარე.

ნახატებისა და ანაბეჭდებისთვის მე მათ გავუგზავნი შესანიშნავ ორლანდოელ ექსპერტებს, რომლებსაც აქვთ დიდი სახელოსნო ნეაპოლში, კასტელოს დაბლობზე, განსაკუთრებით თუ მათ ეტყვიან, რომ ისინი მჭირდება მე. ისინი უნდა გამოვიყენო ჩემთვის, რომელიც წინეთ მათ აძლევდა მცირეოდენ მოგებას. ასევე მჭირდება პატარა ჩანთა [დამზადებული] ყველა სახის ლამაზი ქსოვილისგან, როგორცაა აბრეშუმით, არშიით, ოქროს ფოჩებით და მსგავსი ფერების ჩასაწყობად, რათა ოსტატისა და მისი

წმინდანების სადიდებლად შექმნას ლამაზი ნახატები. მამა დონ ჯოვანი ანტონიო კარაფას და ჩემს ახალ ძმებს დაბეჯითებით ვთხოვ ილოცონ ჩემთვის“ (იხ. დანართ 2)

შენიშვნის სახით უნდა ითქვას: კორე უნდა იყოს ქალაქი გორი. კასტელი 1649 წლის 10 სექტემბერს ოდიშიდან გაგზავნილ წერილში ასახელებს კორის სან პიეტროს მისიას, ეს უკანასკნელი ნამდვილად ვიცით, რომ არსებობდა გორში. მასასადამე, დედნიდან არასწორად ამოკითხულია ქალაქის სახელწოდება, მოსალოდნელია, G-ს და C-ს ასოგერების მსგავსების გამო. კასტელიმ ორი წელი დაჰყო გორში, ამდენად მას არ შეიძლება ასეთი შეცდომა დაეშვა.

დონ კრისტოფორო კასტელი 1632 წლის 25 აპრილის წერილით რომ ითხოვს იტალიიდან გამოუგზავნონ დასახელებული მხატვრების ნახატები, ცხადია, მაგრამ მის წერილებში არ ჩანს, დააკმაყოფილეს თუ არა მისი თხოვნა. ნიშანდობლივია, რომ ის 1647 წლის 12 ივლისს მამა დონ კარლო პალმას მიმართავს:

გვევდრები, ჩვენი მამების მისიაში ჩამოსვლისთანავე, დამასაჩუქრო ყველა იმ საღვთისმოსავო ნახატებით, რასაც შეძლებთ, რათა ამ მარტოობაში იმით დიდი შვება ვპოვო და გავიხარო. მე მაინც მინდა პოლიდორო დე კარავაჯოს ყველა ის გრავიურა ან ილუსტრირებული ნაშრომი, რომლის შეძენაც შესაძლებელია წმინდა სურათების გამყიდველებთან. და ასევე გთხოვ რაფაელ დ'ურბანოს მიერ ილუსტრირებულ ძველი ალთქმას და გთხოვ, ძვირფასო მამაო, არ მომაკლო ეს სიკეთე, რადგან ძალიან მცირეა იმედი, სურვილი კი დიდი“ (იხ. დანართი 3).

როგორც ჩანს დონ ქრისტოდორო დე კასტელის მომარაგება შორეული იტალიიდან, სიცილიიდან, დიდად დაშორებულ საქართველოში სახვითი ხელოვნებისათვის აუცილებელი მასალებით, სამწელო საქმე იყო. ჩვენი მხატვარი ამიტომ იყო, რომ მრავალი წლების შემდეგაც იმეორებდა თავის თხოვნას, მაგრამ არ არის ცნობილი თუ აღწევდა მიზანს. ერთიც არის საყურადღებო: კასტელის 1632 წელს გორიდან გაგზავნილ წერილში ჩამოთვლილი დიდი მხატვრების სათავეში პოლიდორო კარავაჯო ჰყავს დასახელებული. როგორც ჩანს წლების განმავლობაში მას აზრი არ შეუცვლია და 1647 წლის წერილში მხოლოდ პოლიდორო კარავაჯოს შემოქმედების ნიმუშებს და რაფაელ დ'ურბანოს მიერ ილუსტრირებულ ბიბლიას ითხოვდა.

ქვემოთ მოხმობილ მოკლე ბარათში მხატვარი მისიონერი კვლავ ითხოვს სხვადასხვა რამეებთან ერთად გაუგზავნონ ე.წ. პოლიდორო კარავაჯოს ტიპოგრაფიაში დამზადებული მხატვრისათვის აუცილებელი მასალები და საგნები და რაფაელ დ'ურბანოს მიერ ილუსტრირებული ძველი ალთქმა:

თქვენო მამობა. უფალში ყველაზე მოსიყვარულე მსახური

დონ კრისტოფორო კასტელი რეგულარული სასულიერო პირი

მივესალმები მამა დონ დომინიკო კასტელს და როცა თქვენი მამობა მივა ჩემს ძვირფას მამა დონ კლემენტესთან, იქნებ ინებოს დამაჯილდოვოს რაღაც წვრილმანებით, რაც მჭირდება ღვთისა და ჩემი წმინდა დედა რელიგიის სამსახურში. სახელდობრ, რამდენიმე დუჟინი რომაული კალამი მხატვრობისა და მინიატიურებისთვის, რამდენიმე კარგი ხარისხის საღებავი აღნიშნული ევექტისათვის და კარგი ხარისხის ნახევარდასტა ქალაღდი, ზოგიერთი ბარათი, სახელწოდებით ფაგიო ოფ პოლიდორო, რომელსაც იღებენ პოლიდორო კარავაჯო-ს ტიპოგრაფიაში, რაფაელ დ'ურბანოს მიერ ილუსტრირებული ძველი ალთქმა, რომელსაც იშოვით რომში, იმათთან ვინც ყიდიან ფიგურებს და ყველა

ისინი პიასტრა (სხვადასხვა ღირებულების მონეტა-ე. მ.) ღირს, მაგრამ კარგი იქნება, რომ მხატვარი გახლდეთ, რათა არ გადაიხადოთ იმაზე მეტი, ვიდრე ისინი ღირს, კარგი იქნება თუ დარჩება [ფული] ჩემთვის სასარგებლოდ. მე სამუდამოდ მის ვალში ვიქნები... მომიტევეთ ზედმეტად გაუმართავი წინადადებებისთვის და კიდევ ერთხელ გადაეცით ჩემი მისალმება. დიდება უფალს. (იხ. დანართი 4)

კრისტოფორო კასტელის წერილები საშუალებას იძლევა პასუხი გავცეთ, ცნობილი პოეტის, მკვლევრისა და პუბლიცისტის პაატა ნაცვლიშვილის მიერ მხატვარი მისიონერისადმი მიძღვნილ შესანიშნავ ესეში დასმულ კითხვაზე: იცნობდა თუ არა კასტელი უდიდესი მხატვრის კარავაჯოს შემოქმედებას? კითხვის უფრო ნათლად აღქმისათვის, მოვიყვან ბატონი პაატას მსჯელობას უფრო სრულად:

‘არადა, XVII საუკუნის იტალიელ მხატვართაგან თუ ვინმე აგრძელებს იტალიური აღორძინების ტრადიციებს ოსტატობისა და დიდოსტატობის ხარისხით მეტ-ნაკლებად ჩამოჰგავს ლეონარდოს, მიქელანჯელოს ან რაფაელს, ეს _ ეს სწორედ კასტელია. დღეს მნელი სათქმელია, იცნობდა თუ არა კასტელი კარავაჯოს შემოქმედებას. იმის მიუხედავად, რომ სწორედ XVII საუკუნეში გაჩნდა მასობრივი ინფორმაციის ისეთი საშუალებები, როგორცაა ნაბეჭდი წიგნი თუ გაზეთი...’ (ნაცვლიშვილი პ. 2012: 10-11).

ქართველ მკვლევარს, როგორც ჩანს მხედველობაში ჰყავს ორი კარავაჯოელი ხელოვანიდან გვიანდელი _ მიქელანჯელო მერიზი კარავაჯო, რომელიც ცხოვრობდა 1573-1610 წლებში. იგი, უდიდესი მხატვარი, ითვლება ერთადერთ რეფორმატორად მხატვრობაში, მის შემოქმედებას კრისტოფორო კასტელი არ იცნობდა, ყოველ შემთხვევაში ის მას არ ასახელებს არც ერთ თავის წერილში, მაშინ, როდესაც მეორე კარავაჯოელ მხატვარსა და გრავიორს პოლიდორო კალდანო და კარავაჯოს ასახელებს ოთხ წერილში (Carteggio inedito, 1980: 1, 91, 107, 121) და ცდილობს მისი ნამუშევრების პოლიგრაფიული გამოცემის მოპოვებას. პოლიდოროს შესახებ უფრო ვრცლად ქვემოთ ვიტყვი.

როგორც დამოწმებული კასტელის წერილებიდან ვიგებთ, იგი კარგად იცნობდა პოლიდორო და კარავაჯოს შემოქმედებას და აფასებდა მას, ასევე დიდ იტალიელ მხატვარს, რომელსაც მიაკუთვნებენ მაღალ რენესანსს. როგორც ვნახეთ, კასტელი იმდენად გატაცებული იყო მისი შემოქმედებით და სურდა მისი პრაქტიკული გამოყენება საქართველოში და ითხოვდა მუდმივად ხელთ ჰქონებოდა პოლიდოროს ნაღვაწარი.

არაა ცნობილი მისიონერობამდელი კასტელის რომელიმე თანამედროვე მხატვართან თუ ჰქონდა ურთიერთობა, თუ არ ჩავთვლით, სიცოცხლის ბოლო პერიოდში მის ხანმოკლე სიახლოვეს ფლორენციელ მხატვარსა და გრავიორთან სტეფანო დელა ბელასთან (1610-1664). კრისტოფორო კასტელი თავის წერილებში არაფერს ამბობს სტეფანო დელა ბელაზე. ის ფლორენციაში, სადაც დაახლოებით ოთხი თვე გაჩერდა, გაიცნო სტეფანო დელა ბელა. ამის შემდეგ ის მიდის რომში, იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის წერილის პაპი ალექსანდრე მეშვიდისთვის (1655-1667) გადასაცემად. ამის შემდეგ ის აპირებდა პალერმოში დაბრუნებას. ყოველივე ამის შესახებ ვკითხულობთ მის მომცრო ბოლო წერილში. ალბათ საინტერესო უნდა იყოს იმის აღნიშვნა, რომ კასტელის ბოლო წერილი შედგენილია 1655 წლის 6 აგვისტოს (Carteggio inedito, 1980: 127), რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ კრისტოფორო კასტელი ჯერ კიდევ არ იცნობს სტეფანო დელა ბელას:

იკურთხოს ღმერთი. ქრისტეში პატივცემულო მამაო,

ძვირფასო მამა დონ ფრანჩესკო მარია, სკვიტებსა და ბარბაროსებს შორის გრძელმა მოგზაურობამ ვერ მომცა ის შედეგი, რომელმაც მიზიძგა, პალერმოდან მოხუცებული და დაღლილი გამოვსულიყავი. იმედგაცრუებულმა, გადაჭრით გადაწყვიტე, მიმემართა აფრები სამშობლოსკენ და ნავი წმინდა რელიგიის მშვიდ ნავსაყუდელში შემეყვანა. ამიტომ, კურთხეული ღმერთის წყალობით, მრავალგვარი ქარიშხლის შემდეგ გადავრჩი და ბედნიერად ჩამოვედი ვენეციაში. თან მაქვს საქართველოს მეფისა და სხვა ერთი მთავრის წერილები ჩვენი უფლის უწმიდესობისადმი, პაპ ალექსანდრესადმი. სწორედ ამან შესაძლოა მაიძულოს რომში გამგზავრება, ხოლო იქიდან, ღვთის წყალობით, იმედს ვიტოვებ, რომ პალერმოში დავბრუნდები. ვიხილავ ჩვენს ნათესავებს და გულით ჩავეხუტები ჩემთვის ძვირფას მამა დონ ფრანჩესკოს, მაგრამ არა გორიელში [გურიაში], არამედ სხვაგან. ვიქნებოდი მორალურად ვალდებული, რომ არ შემეტყობინებინა თქვენთვის. თქვენო პატივცემულობა, ვისაც ჩემს მამად და მოძღვრად ვთვლი. მაპატიეთ, თუ მისიის მდგომარეობის შესახებ მეტად არ ვწერ: იმედს ვიტოვებ, რომ კვლავ გიხილავთ და მაშინ თავად მოგიტხოვრებთ მრავალს უფლის დიდებისათვის და თქვენი ინტერესისთვის. ამ დროისათვის კი შეგთხოვთ, თავი შეიკავოთ რაიმე მოსაზრებებისგან, რაც, ღმერთის შეწევნით, მომავალში შესაძლოა შეიცვალოს. გთხოვთ, მოკითხვა გადაეცით ჩვენს ყველა მამას სან ჯუზეპესა და ჩვენს სენიორა დელე კატენეს ორდენებიდან, განსაკუთრებით კი წინამძღვრებს, მამა დონ ჯიროლამო მატრენგას და მამა დონ ჯუზეპე ჯელოზას. და ბოლოს, მთელი გულით გეხვევით და მომიხსენიეთ თქვენს წმინდა ლოცვებში.

თქვენი უწმიდესი მამობის უფალში ყველაზე მდაბალი და მოსიყვარულე მსახური დონ კრისტოფორო კასტელი, რეგულარული სასულიერო პირი“ (დანართი 5).

ორივე ხელოვანი – პოლიდორო კალდანო და კარავაჯო და სტეფანო დელა ბელა იმდენად მნიშვნელოვანი იყვნენ კასტელისათვის, რომ შეიძლება მათზე ცალცალკე მოკლედ მაინც ვისაუბროთ: ჯერ კასტელის წინამორბედზე – პოლიდორო და კარავაჯოზე, შემდეგ კი კასტელის თანამედროვე – სტეფანო დელა ბელაზე (Chisholm, 1911: 965).

კრისტოფორო კასტელი – პოლიდორო კარავაჯო

პოლიდორო კალდანო და კარავაჯო (Polidoro Caldano da Caravajo, 1499 – 1543), იგივე პოლიდორო კალდარა, წარმოშობით ლომბარდიის პატარა ქალაქ კარავაჯოდან (აქედან მოდის მისი მეტსახელი, ისევე როგორც საყოველთაოდ ცნობილი მხატვრის მიკელანჯელო მერიზი და კარავაჯოსი), ახალი რენესანსული ეპოქის მხატვარი. მისი შემოქმედება ძირითადად დაკავშირებულია რომთან, განსაკუთრებით ცნობილია შავი და თეთრი გრაფიტული (sgraffito) ფრესკებით, რომლითაც ამკობდა სახლების ფასადებს. კარიერა დაიწყო რაფაელის სახელოსნოში. მისი ხელწერა მიჰყვება რაფაელის კლასიკურ და ჰარმონიულ სტილს. ის ცნობილია ანტიკურ თემებზე შექმნილი კომპოზიციებით – მითოლოგია, ისტორიული სცენები. მოგვიანებით გადავიდა ნეაპოლში, სადაც გარდაიცვალა ტრაგიკულად – სავარაუდოდ მძარცველებმა მოკლეს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ თვით პოლიდორო პიროვნულად კონფლიქტური იყო და ხშირად ჰქონდა სამართლებრივი პრობლემები. როდესაც მას ბრალი დასდეს ადამიანის მკვლელობაში, იძულებული გახდა, გაქცეულიყო რომიდან. პოლიდორო ცნობილი თავისი დრამატული შუქ-ჩრდილის ტექნიკით გადმოსცემდა ბიბლიურ სცენებს ბუნებრივი ადამიანური ემოციებით და რეალიზმით, მოდელებად ხშირად ირჩევდა შემთხვევით, ქუჩის ადამიანებს.

პოლიდოროს ქმნილებები დიდად დაზიანდა ან სრულად მოისპო, რომის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ტრგედიის დროს, 1527 წლის 6 მაისს, როცა წმინდა რომის იმპერატორის კარლს V-ის არმიამ გაანადგურა და გაძარცვა მარადილი ქალაქი.

პირდაპირი, დოკუმენტურად დადასტურებული გავლენა პოლიდოროსი კასტელზე რომ ნამდვილად არსებობდა, ჩანს უკანასკნელის წერილებიდან, როდესაც ის ადრესატებს თხოვს პოლიდოროს მხატვრული ნამუშევრების, გრავიურების პოლოგრაფიული გამოცემის გადაგზავნას საქართველოში.

გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვით უნდა არსებობლიყო ამ ორი ხელოვანის კრისტოფორო კასტელისა და პოლიდორო კარავაჯოს ერთმანეთზე გავლენა, გრავიურებისა და ორდენის შინაგანი მხატვრული მემკვიდრეობის გზით. ორივე დაინტერესებული იყო როგორც ფერწერით, ისე გრაფიკული გამოსახულებით (Vitzthum, 1952; Andrews, 1979; Briganti, 1982; Marianne Koos, 2006).

კასტელი აქტიურად ქმნიდა გრაფიკულ ჩანახატებს, რომლებიც ხშირად გეომეტრიულად მკაფიო, ლაკონიურ, შავ-თეთრ სტილშია შესრულებული – რაც შესაძლოა პოლიდოროს sgraffito-ს სტილის გავლენად მივიჩნიოთ. მაშასადამე თეორიული გავლენა პოლიდოროს შემოქმედებისა კასტელის მხატვრობაზე საკმაოდ სავარაუდოა. ამ გავლენის არსებობაზე რამდენიმე მინიშნებას ვხვდებით კასტელის წერილებში, რომლებსაც ქვემოთ გავეცნობით.

პოლიდორო კალდანო კარავაჯო და კრისტოფორო კასტელი, ორივე იტალიელი მხატვარი განსხვავებულ დროში და რეალობაში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ: კარავაჯო რაფაელის სკოლის მიმდევარი – რომისა და ნეაპოლის ქუჩებში და ვატიკანის მოციქულთა სასახლეში – სიქსტის კაპელაში, კასტელი კი, საქართველოში – ქართლში, გურიასა და სამეგრელოში; კარავაჯო – კედლის მხატვრობის, გრავიურების ოსტატი, კასტელი – მისიონერი ხელოვანი-საქართველოში. მათ აერთიანებთ ადამიანის ცხოვრებისადმი სიღრმისეული დაკვირვება.

კარავაჯო გამოირჩეოდა ემოციური ექსპრესიულობით და ფერწერული მონუმენტალიზმით. სახლების კედლებზე გაკეთებული მისი ისტორიული შინაარსის გრავიურები ქალაქის მოსახლეობის ყველა წოდებისათვის რომანტიული, მიმზიდველი და საინტერესო იყო.

კრისტოფორო კასტელი და სტეფანო დელა ბელა

დავუბრუნდეთ სტეფანო დელა ბელას. ის დაიბადა ფლორენციაში, მხატვრების ოჯახში, სწავლობდა ოქრომჭედლობას, მაგრამ გახდა გრავიორი. ჩვიდმეტი წლის იყო, როცა ახალგაზრდა ჯანკარლო დე მედიჩის გადასცა მისი პიტის სასახლეში მოწყობილი ბანკეტის ამსახველი ოფორტი – ლითონზე შესრულებული გრავიურა, სადაც გამოსახულების ჩაღრმავებული ელემენტები მჟავებით ლითონის ამოჭმის გზით არის მიღებული, ასეთი გრავიურის ანაბეჭდი. ამის შემდეგა დელა ბელა მედიჩის ოჯახის ოფიციალურ დავალებებს ასრულებდა (Massar P. 1968: 159-176). მან თავის მფარველს სთხოვა ნებართვა გაეშვა რომში, მხატვრობაში განათლების დასასრულებლად.

დელა ბელა ექვსი წელი სწავლობდა რომში, ცხოვრობდა მედიჩების სასახლეში (1633-1639). ამის შემდეგ ის ცხოვრობდა პარიზში (1639-1650), სადაც რემბრანდტისა და სხვა ჰოლანდიელი ბეჭდვითი მწარმოებლების გავლენაში მოექცა. მოგზაურობდა ჰოლანდიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში.

დელა ბელა ბევრს მუშაობდა პარიზში. მას უკვე იცნობდნენ მნიშვნელოვანი გამომცემლები. 1641 წელს კარდინალმა რიშელიემ ის გაგზავნა არასში, რათა შეექმნა ნახატები სამეფო არმიის მიერ ამ ქალაქის ალყისა და მისი დაპყრობის შესახებ, დელა ბელამ ასევე ამოტვიფრა პარიზის ხედები. ფლორენციაში დაბრუნების შემდეგ, ფერდინანდო II მედიჩიმ დიდი პენსია დაუნიშნა, ხატვას ასწავლიდა მის ვაჟს, კოზიმოს. სტეფანო დელა ბელა გადაჭარბებული მუშაობის შედეგად, დასნეულდა და 1664 წელს ინსულტით გარდაიცვალა.

დონ კრისტოფორო კასტელისა და სტეფანო დელა ბელას შეხვედრა მოხდა 1655 წლის ბოლოს, მაშინ როდესაც იმერეთის მეფის წერილი მიართვა ტოსკანის გრანდუკას (ამ საკითხზე ვრცლად იხილეთ: *mamisTvaliSili, 2024: 226-244*).

გრანდუკა ფერდინანდო კასტელს იცნობდა მისიონერების წერილებითა და მონათხრობების მიხედვით, იმის შესახებ კასტელმა როგორ გამოიჩინა თავი საქართველოში. გრანდუკა საქართველოში მყოფ მისიონერებს შემწეობასაც უგზავნიდა ხოლმე. ხშირი იყო ხელოვანებისა და მოგზაურების შეხვედრები მედიჩების სასახლეში, რომელსაც ჰქონდა კავშირი თანამედროვე აღმოსავლეთში მოგზაურებთან, სადაც იკრიბებოდნენ არაევროპული ქვეყნებიდან ჩამოტანილი ახალი ამბებისა და საინტერესო სანახაობითი მასალების სანახავად. სავარაუდოა, ხელოვნების მოტრფიალე ფერდინანდო არ გაუშვებდა შემთხვევას, რომ დელა ბელა და კრისტოფორო კასტელი ერთმანეთს არ შეხვედროდნენ მის რეზიდენციაში. კრისტოფორო კასტელისა და სტეფანო დელა ბელას ხანმოკლე ურთიერთობა მისიონერის ნაწერებზე დაყრდნობით გამოიკვლია იტალიელმა მეცნიერმა ბერნადეტე მაიორანამ ქრისტოფორო კასტელისადმი მიძღვნილ დიდად საინტერესო წიგნში (*Bernadette Majorana, 1990: 131-134*).

კრისტოფორო კასტელისა და დელა ბელას ურთიერთობის მაჩვენებელია მისიონერის ერთ-ერთ ხელნაწერში შემდეგი ფრაზა: *‘მე დავხატე ნაწილი, ნაწილი კი მშტამპავს მივეცი. ფლორენცია’*. უცილობელია, რომ მშტამპავი დელა ბელაა. კასტელს მიერ გამიყენებულ ფურცლებზე გამოტოვებული გამოსახულებები ამოჭრილია: ცარიელი ადგილი შეიცვალა თეთრი ქაღალდით; კასტელი შესაბამისად აღნიშნავს: *„სტეფანო ლა ბელა, ცნობილი გრავიორი, რამდენჯერმე ჩავიდა ფლორენციის სან მიქელეში, სადაც ვხვდებოდი და დიდი ჰერცოგის ბრძანებით გადავწერე აღმოსავლეთის პრინცების ან პრინცესების პორტრეტები და ჩვენი სხვა ნივთები. დიზაინები“*; დაბოლოს: *‘ცნობილ კარვერს სტეფანო ლა ბელას აღმოსავლეთის კურიოზების მრავალი ნახატი მივეცი’* (*Bernadette Majorana, 1990: 131-132*).

* * *

კრისტოფორო კასტელი იხსენებს თავის სასიამოვნო ურთიერთობას ფერდინანდო მეორესა და მის ვაჟთან კოზიმოსთან:

‘დიდი ჰერცოგისა და პატარა უფლისწულის კოზიმოს კეთილგანწყობის შესახებ. [კოზიმო] ყოველთვის ჩემთან იყო ჩემი ისტორიების სანახავად და ასახავდა მათ, რომლებიც გადაწერა სტეფანო ლა ბელამ, მისმა მხატვარმა’.

რა თქმა უნდა კასტელის მოგონებაში განსაკუთრებით საინტერესოა მის მიერ იმის აღნიშვნა, რომ სტეფანო დელა ბელა იხატავდა მის ნამუშევრებს. შემდეგ

კასტელი დაწვრილებით ყველა ფერდინანდო II-სთან ელჩობის (ტოსკანის დიდ ჰერცოგთან კასტელისთან ერთად იმყოფებოდა არკანჯელო ლამბერტი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ დაბრუნდა იტალიაში) შეხვედრების შესახებ რომელთანაც იგი საქართველოს (იმერეთის) მეფის წერილებით მივიდა. კასტელი წერს:

„ეს ელჩობა მეტად საყვარელი იყო დიდ ჰერცოგისათვის, რომელსაც ძალიან სიამოვნებდა ისეთი პირისგან მოსმენა იმ ქვეყნებზე, რომელმაც იქ მთელი ცხოვრება გაატარა და რომლის სახელი აღიარებული იყო იმ აღმოსავლელ მთავრებს შორის ჩვენ მიერ. ყოველ დღე მიგზავნიდა ეტლს თავისთან მისაყვანად, ხოლო როცა დაკავებული იყო, მანდობდა თავის ვაჟს, პატარა პრინც კოზიმოს, რომელიც — როგორც ძალზე ცნობისმოყვარე და ჭკუამახვილი, სიამოვნებით საუბრობდა ჩემთან აღმოსავლეთის საქმეებზე, რომელთა მიმართაც დიდი ინტერესი ჰქონდა, რადგანაც იმ ადგილებში წლების განმავლობაში მქონდა ცხოვრების გამოცდილება. იგი ინტერესით ათვალიერებდა იმ ნივთებს, რაც მქონდა დაწერილი და დახატული, და უბრძანა თავის სახელგანთქმულ მხატვარს, სახელად სტეფანო დელა ბელას, რომ — ვინაიდან ეს ყველაფერი იყო ახალი და საინტერესო, ყველაფერი დაეხატა გამოსაბეჭდად თავის დროზე, რაც შესრულებული იქნა“ (იხ. დანართი 6).

ბერნადეტე მაიორანას ეჭვი არ ეპარება, რომ კასტელს ჰქონდა დელა ბელას გრავიურები, რაც დღეისათვის საბილოდ დადგენილია. სხვა მინიშნებები, რომლებიც გვარწმუნებს კასტელისა და დელა ბელას ურთიერთობაში, არის დაკვირვება ლუვრში დაცულ დელა ბელას ზოგიერთ ნახატზე, რომლებიც ძალიან ჰგავს კასტელის ანოტაციებს, თავი რომ დავანებოთ კოლხეთის, გურიის, იბერიის და სპარსეთის შესახებ ცნობებს, რომლების ციტირებასაც ახდენს დელა ბელა, არ შეესაბამება არც ერთ გრავიურას. კასტელს არ შეიძლებოდა გამოეყენებინა ისინი იმ ნაბეჭდი მოდელებისათვის, რომლებიც მის განკარგულებაში იყო და სხვა მსგავსებებიც არის კასტელის არქივში დაცულსა და დელა ბელას ნახატებს შორის. ეს ჰიპოთეზა დაადასტურებდა ლუვრში დაცული სურათების შესახებ კრისტოფორო კასტელის ნახატების ალბომში, როგორც ვიზუალური დოკუმენტაცია – (Bernadette Majorana, 1990: 132) დაასკვნის ბერნადეტე მაიორანა.

ურთიერთობა, რომელიც დამყარდა სტეფანო დელა ბელასა და კრისტოფორო კასტელს შორის, მოწმობს ისტორიულად საინტერესო კულტურულ გაცვლას, რაც ვლინდება ტოსკანური გრავიურის სრულყოფილ ოსტატობასა და უდავო ხარისხში; მეორეს მხრივ, მოგზაურობისა და აღმოსავლეთში ყოფნის ფიზიკური გამოცდილება, რომელიც აისახა

სტეფანო დელა ბელა და კრისტოფორო კასტელი – ორივენი იტალიელები, ერთსა და იმავე დროს – XVII საუკუნის პირველ ნახევარში – მოღვაწეობდნენ. მათი ურთიერთგაცნობა მოხდა მხოლოდ ორივეს სიცოცხლის ბოლოს ფლორენციაში. მაშინ გაეცვნენ ისინი ერთმანეთის შემოქმედებას.

დელა ბელას, დაინტერესებულს აღმოსავლეთით, არასიდეს უნახავს იგი. კასტელისაგან განსხვავებით დელა ბელა აღმოსავლეთს ხედავდა მხოლოდ ფანტაზიის მეშვეობით, კასტელი კი დოკუმენტური რეალიზმით. დელა ბელას ინტერესი აღმოსავლეთში მოიცავდა ბრძოლების სცენებს, იქაურ არქიტექტურას და ეგზოტიკურ ცხოველებს, რაც ხშირად იყო ფანტაზიის ნაყოფი. დელა ბელასთვის აღმოსავლეთი იყო დეკორატიული ფონი.

კასატელმა კი თავის ჩანახატებში, მიუხედავად იმისა, რომ იგი იყო სასულიერო პირი და მისიონერი, აღბეჭდა არა მხოლოდ რელიგიური სცენები, არამედ შექმნა ადამიანების ყოველდღიური ყოფა და გარეგნობა მათზე დაკვირვებით. გვიჩვენა საქართველოს ყველა სოციალური ფენების ისტორიული პიროვნებები და უცნობი, ჩვეულებრივი ადამიანების სახეები; გაგვაცნო მათი ჩაცმულობა, საქმიანობა, შრომისა და ბრძოლის იარაღები; ასახა ტრადიციები და რიტუალები. ამიტომ კასტელი არის ისტორიკოსი-მხატვარი, ეთნოგრაფი-მხატვარი, არქიტექტორი-მხატვარი... ის მთელი თავისი შემოქმედებით ღმერთთან იყო დაკავშირებული. ყოველივე, რაც კასტელთან მიმართებაში ითქვა, იყო მისი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი. აღნიშნულიდან გამომდინარე კრისტოფორო კასტელის მიზნები განსხვავდებოდა დასახელებული ხელოვანების მიზნებისაგან.

* * *

უნდა ითქვას დონ კრისტოფორო დე კასტელის იმ ნახატებზეც, რომლებიც ვერ მოხვდნენ იმ არქივებსა და მუზეუმებში, რომლებშიც მისი სხვა ნახატების არსებობაზე დაინტერესებულმა საზოგადოებამ იცის და მათ შესწავლას ახდენს. კასტელი თავის წერილებში ხშირად ლაპარაკობს თავის საკმაოდ მრავალ ნამუშევრებზე, რომელთა დიდი უმრავლესობის ბედზე თვითონაც არაფერი იცის. სამწუხაროდ, მრავალი მათგანის შესახებ ინფორმაცია ნაკლებად, ან საერთოდ არ გვაქვს.

კრისტოფორო კასტელმა საქართველოში მოსვლის შემდეგ მოკლე დროში გორში შექმნა რამდენიმე საყოველთაოდ ცნობილი ნახატი, რომლებიც მიძღვნილია მეფე თეიმურაზ პირველისა და დედოფალ ხორეშანისადმი. ეს პორტრეტი ერთ-ერთი პირველი უნდა იყოს რომელიც დახატა საქართველოში დიდი იტალიელი მოგზაურის, პოლიტიკოსის და მეცენატის დონ პიეტრო დელა ვალეს დაკვეთით.¹

დონ პიეტრო დელა ვალეს ამაგი ჰქონდა გორის მისიის მამებზე და მჭიდრო კავშირში იყო თეატინელთა გორის მისიასთან. უფრო მეტიც, აღინიშნა, რომ მისი ინიციატივით გამოიგზავნენ დასახელებული ორდენის მისიონერები, მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა მისიონის პრეფექტთან (წინამძღვარი) დონ პიეტრო ავიტაბილესთან, რომელიც მისი რეკომენდაციით დაინიშნა აღნიშნულ თანამდებობაზე.

დელა ვალემ თავის მეგობარ დონ პიეტრო ავიტაბილეს საქართველოში გამგზავრების წინ სთხოვა, რომ გორში რომელიმე მისიონერს მეფე თეიმურაზ პირველისა და დედოფალ ხორეშანის პორტრეტი დაეხატა. მას ასეთი სურვილი გაუჩნდა ქეთევან წამებულთან, მეფე თეიმურაზის დედასთან შირაზში მარიუჩას (დელა ვალეს ჯერ შვილობილი, შემდეგ კი მისი მეორე მეუღლე, წარმოშობით ქართველი, კახეთიდან) მეშვეობით ურთიერთობის დროს.ⁱⁱⁱ

ავიტაბილე შემდგომში დელა ვალეს აცნობებდა, რომ მის თხოვნას შეასრულებდა მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელსაც შეუძლია მინიატურების ხატვა (ტაბალუა, 1987: 143). მაგრამ საკითხი გაირკვა ლამბერტის აღიარებით, რომ მხატვრობა მისი ხელობა არ იყო და რაც იცოდა, ისიც მხოლოდ კასტელიმ შეასწავლა:

„სანამ პრინცი (ოდისის მთავარი ლევან მეორე დადიანი _ ე.მ.) არ იმყოფებოდა, მას არაერთი სურათი დავუხატე, თუმცა ეს ჩემი ხელობა არ იყო. ზეთის საღებავით

¹ დონ პიეტრო დელა ვალეს სპარსეთში ყოფნის, მისი ოჯახისა და წამებული კახეთის დედოფლის შესახებ ვრცლად იხ. მამისთვალშივილი ე. 2022: 6-489.

იმდენად შემიძლია ხატვა, რამდენადაც ამ ხელობის შესახებ, ზოგიერთი წესი კრისტოფორომ შემასწავლა“ (დონ არკანჯელო ლამბერტი, 2015: 17).

რა თქმა უნდა, ასეთ დაბალი დონის მხატვრის მიერ შესრულებულ ნამუშევარს ვერ შეკადრებდნენ ისეთი გემოვნების და მხატვრობაში ფრიად გარკვეულ ადამიანს, როგორც პიეტრო დელა ვალე იყო, ის თვითონაც ხატავდა. თუ ვინ დახატა დელა ვალეს მიერ შეკვეთილი პორტრეტები, ამის გარკვევაში დაგვეხმარება კასტელის წერილი დელა ვალესადმი, რომლის ფრაგმენტს ქვემოთ გავცნობით. უეჭველია, დელა ვალეს თხოვნა დონ კრისტოფორომ დე კასტელმა შეასრულა გორში მოსვლისთანავე, ვიდრე ყიზილბაშების ჯარი ამ ქალაქში შემოვიდოდა და თეიმურაზ მეფე და მისი ოჯახი დასავლეთ საქართველოში გადაიხვეწებოდა. ამის შემდეგ კასტელს უნდა დაეხატა გორი და მისი ციხე (შდრ. Chikhladze M.)

კრისტოფორო კასტელს დასახელებული სურათი _ ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I მეუღლით^{iv} (სხირტლაძე ზ., ჩიხლაძე მ. 2021: 28) უნდა დაეხატა გორში ჩამოსვლიდან ახლო პერიოდში, 1632 წელს, მაგრამ მასზე მინაწერი კი უნდა გაეკეთებინა, როგორც ტექსტიდან ჩანს, მაშინ, როდესაც თეიმურაზ მეფე ოჯახითურთ როსტომ მეფის დევნილი იყო. თეიმურაზის ასეთი მდგომარეობა ჩანს კასტელის მიერ სურათზე გაკეთებულ წარწერაში:

„ეს პრინცი ყოველგვარი ქების ღირსია და ყველაფერში ძლიერი, ქონებით ღარიბია და უბედური / თეიმურაზ ... ხანი, ოდესღაც იბერიის დიდი ნაწილის მეფე, ღვთიური სასამართლოს ძალით სპარსეთის მეფემ დაამხო უკიდურეს სიღარიბეში; მაშინ, როდესაც მოსკოვიტების მთავარი მას უწოდებდა ქრისტიანული სარწმუნოების დამცველს. / ვეხქვემ ნიადაგ გამოცლილი. / თეიმურაზ ხანი და მისი ისტორია / თავის ცოლთან ერთად დიდებული იყო მთელ მსოფლიოში, დაკარგა სამეფო და განდევნა მეფემ [...]“ (დანართი 7).

კასტელმა დახატა „საომრად ამხედრებული თეიმურაზ I“ (სურ. 6)². კასტელს აგრეთვე გორში უნდა დაეხატა „ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზი ესაუბრება დე კასტელის“ (სურ. 2). თეიმურაზ მეფისადმი ინტერესი კრისტოფოროს ჰქონდა გორიდან წასვლის შემდგაც. ამაზე მეტყველებს მისი ესკიზი _ „სამეგრელოში ლტოლვილი თეიმურაზ მეფე ინახულეს პატრებმა“ (სურ. 93). თეიმურაზის სამეგრელოში დიპლომატიური მიზნით ყოფნის ზუსტი დათარიღება ვერ ხერხდება. რუსული წყაროების მიხედვით, თეიმურაზის ლევან II დადიანთან მოლაპარაკება უნდა მომხდარიყო 40-50-იანი წლების მიჯნაზე. რა თქმა უნდა არ არის გამორიცხული კასტელს კიდევ ერთხელ დაეხატა დიდად პატივცემული თეიმურაზ I (მამისთვალისშვილი, 2011: 434-440).

შეიძლება ვარაუდი, რომ როდესაც პიეტრო დელა ვალემ მიიღო კასტელის მიერ დახატული მეფე თეიმურაზისა და დედოფლის პირველი პორტრეტი, მან ამის შემდეგ დაამყარა მხატვარ-მისიონერთან საქმიანი ურთიერთობა. ეს მოსაზრება გამიჩნდა მაშინ, როდესაც გავეცანი დონ ფრანჩესკო ანდრიუს მიერ გამოქვეყნებულ კრისტოფორო კასტელის წერილს გაგზავნილს დონ პიეტრო დელა ვალესთან. კასტელის დასახელებული

² სურათებით და მათზე შესრულებული მინაწერების ქართული თარგმანებით ვისარგებლე ბეჟან გიორგაძის ფუნდამენტური ნაშრომიდან (დონ კრისტოფორო დე კასტელი, 1976).

წერილის დასაწყისში, ნათლად ჩანს, რომ მან პიეტრო დელა ვალეს არა მხოლოდ ქართლის მეფე-დედოფლის პორტრეტი დაუხატა, არამედ მის სხვა დაკვეთებსაც ასრულებდა.

1642 წლის 12 ნოემბერს კასტელი მამა დონ ფრანჩესკო ბოლვიტოს წერდა:

„მრავალი წლის წინ მქონდა შესაძლებლობა რაღაცეები გამეკეთებინა სპარსეთის მეფისთვის, რომელთა ესკიზები შევინახე. ერთ-ერთი მათგანი არის სან-პიეტრო დი გორის მისიონის გახსენება. მას ვუგავნით ჩვენს უწმინდეს მამას, რათა მან შეძლოს რომის სან სილვესტროს არქივის კედლის ნაწილის დაფარვა.“ (იხ. დანართი 8)

დონ კრისტოფორო დე კასტელის 1648 წლის 12 ივლისის წერილიდან, რომელიც განკუთვნილია მამა დონ კლემენტე გალანოსათვის, ვიგებთ, რომ მისიონერს ჩაფიქრებული ჰქონდა დაეწერა საქართველოს ისტორია, რომელშიც საილუსტრაციოდ ჩართული იქნებოდა ნახატები, მინიატურები, ესკიზები და გრაფიურები. კასტელს სულიერი ძმა ფრანჩესკო პისტოიასთვის დაუვალებია, შეედგინა პატარა სია, საიდანაც, ვისაც სურვილი და შესაძლებლობა ექნებოდა, შეეძლოთ გაეგოთ, მხატვრის საჭიროებები, რათა მან შეძლოს მუშაობა და ბევრი რამ გააკეთოს წმინდა მისიაში. კასტელი ასეთ მნიშვნელოვან სამუშაოებიდან პირველ რიგში ასახელებს:

„დავიწყე რამდენიმე მცირე ნაშრომი, რომლებიც, ვფიქრობ, სიამოვნებას მიანიჭებს როგორც ჩემს დედას, ისე თქვენს მამობას, რომელსაც ძალზე დიდად ვაფასებ. პირველ რიგში, აღწერ მეგრულ მღვდელს; ნახატზე გამოსახულია, როგორ ანხორციელებენ ისინი საიდუმლოებებს და როგორი დამდაბლებული და სავალალოა მათი მდგომარეობა. ასევე ვხატავ ეპისკოპოსებსა და მათ პატრიარქს, ანუ კათოლიკოსს, მათი პორტრეტებითურთ; აგრეთვე ამ ქვეყნების მთავრების პორტრეტებსა და ცხოვრებას, და იმ უფლის მსახურთა გამოსახულებებს, რომლებიც აქ მსახურობდნენ და მისიაში გარდაიცვალნენ. და რადგანაც დამპირდნენ ამ ქვეყნების ისტორიის მოწოდებას, იმედი მაქვს, მას ჩვენს ენაზე გადავთარგმნი და ილუსტრირებულ სახით იტალიაში გავგზავნი – თუ ეს უფალისა და ჩვენი უფროსებისათვის სათნო იქნება“. (დანართი 9)

კასტელი შემდეგ ამბობს, რომ მის ნაშრომში ნაჩვენები იქნება მისიონერების მიერ მისიაში განხორციელებული მუშაობა და, მისი აზრით, შესანიშნავი იქნება ის, რომ მკითხველი მასში იხილავს პაპის პორტრეტს, მეგრულ მღვდლებს, იქაურ ეპისკოპოსებს, პატრიარქს, მათი დამწერლობის შრიფტს და მრავალ საინტერესო რამეებს. როცა მას მისიონერული საქმიანობიდან თავისუფალი დრო ექნება, თავის დაიმშვიდებს ქაღალდით, ფუნჯით და გრაფიურებით. სიამოვნებით აკეთებს იმას რაზეც ზემოთ ილაპარა. სჭირდება გარავიურები, რომელთა შოვნა ადვილად შეიძლება ფლანდრიული გრაფიურების გამყიდველების მაღაზიებში და რაც უფრო მეტ ასეთ რამეებს გაუგზავნიდნენ, მით უფრო მადლობელი იქნებოდა თავის სულიერი ძმებისა და მამების კეთილგანწყობისთვის. კასტელი მადლობას მოახსენებს მამა დონ კლემენტეს და მამა დონ კარლო პალმას. იგი დასახელებულ მამებს სთხოვს ხშირად გაუგზავნონ წერილები, რომლებიც მას ძალიან გაახარებს. ასეთმა წერილებმა გადაარჩინა იგი, კრისტოფორო კასტელი. სალამს უძღვნის მამებს – დონ ფრანცისკო მარია მაჯოს და დონ ვინჩენცოს.

დონ კრისტოფორო კასტელის გულწრფელი ღრმა რელიგიური გრძნობა და კათოლიკური ქრისტიანული რელიგიის აღმოსავლეთში გავრცელების სურვილი ჩანს მთელ მის მოღვაწეობაში. ის აბსოლუტური მორჩილებისა და თავმდაბლობის დაკარგვის გარეშე ცდილობდა თავის ყველაზე გულწრფელი იმპულსების ჩახშობას. სრულმა გულღიობამ მისიონერს საშუალება მისცა პირდაპირი ურთიერთობა დაემყარებინა საქართველოში სხვადასხვა რეგიონების მრავალ ადამიანთან. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მის მიერ სხვადასხვა სიტუაციების აღწერა, რომელიც მდიდარია მოსახლეობის წეს-ჩვეულებების წერილობითი აღწერით და იოლად აღსაქმელია მის მიერ შექმნილი სურათების უშუალოდ წყალობით. ზოგიერთი აღწერილობა, დეტალების ზედმიწევნითობის წყალობით, მთელი მისი შემოქმედებით ის ეწერება თავისი დროის გამოჩენილი მხატვრების პლეადაში, როგორც მხატვარი და დიზაინერი.

დონ კრისტოფორო კასტელის ნახატებზე გაკეთებული წარწერები მეტყველებს მის სურვილზე, ევროპელებისათვის გაეცნო მათთვის შორეული და ნაკლებად ცნობილი, მტრებისგან დაჩაგრული მოსახლეობა და ამ მოვლენით გამოწვეული ყველა უბედურება: სიღატაკე, ეკონომიკის განუვითარებლობა, კულტურული ჩამორჩენილობა და სხვ., რაც კასტელისათვის სრულიად გასაგები იყო და ცდილობდა თავისი პრაქტიკული საქმიანობით რამენაირად დასდგომოდა მათ მხარში და შეემსუბუქებინა ქვეყნისა და მოსახლეობის მძიმე ხვედრი.

დაუდგენელია და, ალბათ, ვერც დადგინდება რამდენი ნახატი შექმნა დონ კრისტოფორო დე კასტელმა. მკვლევრები ამ საკითხზე მსჯელობენ პალერმოს მუნიციპალიტეტში, კასტელის არქივში დაცულია კასტელის უძვირფასესი ჩანახატების შვიდი ალბომის მიხედვით, რომლებშიც, ზოგიერთი გამოანგარიშებით, უნდა იყოს ათასამდე ნახატი. კასტელმა თავის ნახატებში, როგორც ითქვა, ასახა საქართველოში მისი ყოფნის პერიოდის (1632-1654) მოგონებები, ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება. ლაპარაკია კასტელის ფერწერული შემოქმედების იმ ნაწილზე, რომელიც კასტელის ხანგრძლივ და ხიფათით აღსავსე მოგზაურობის დროს დაღუპვას გადაურჩა.

ყველზე ხელმისაწვდომი იყო ცნობილი ქართველი მთარგმნელისა და ისტორიკოსის ბეჟან გიორგაძის მიერ გამოქვეყნებულ ალბომში მოთავსებული გამოკვლევა და 600-ზე მეტი ნახატი, რომელთაგან 150 სურათი სასოფლო-სამეურნეო ცხოვრებას ასახავს; 100 ქვეყნის მესვეურთა _ მეფე-მთა-ვარ-თა და სხვა ცნობილი პიროვნებების პორტრეტებს; 150 სურათზე სხვადასხვა ეროვნების ქალთა სახეებია მოცემული; 100 სურათი პორტრეტული ხასიათისაა; ოციოდე ნახატში ასახულია შინაური და გარეული ცხოველების გამოსახულებანი; ათიოდე სურათი ფანტასტიკური ხასიათისაა; ოციოდე — ნაგებობათა ნიმუშებია. ამის გარდა კასტელის დასურათებული აქვს მისიონერული მოღვაწეობის ათიოდე სცენა და სხვ. სურათების არშიებზე წარწერები შესრულებულია ძირითადად იტალიურ და ლათინურ ენებზე (დონ კრისტოფორო კასტელი, 1976).

კასტელი პალერმოში დაბრუნებისას, რომში შეყოვნდა, ნახატების მნიშვნელოვანი ნაწილი კი სხვა გემს გაატანა. ძლიერი ღელვის დროს მის სხვა ბარგთან ერთად დაიკარგა ბევრი ნახატი. ბუნებრივია, კასტელმა ძლიერ განიცადა ეს ტრაგედია. მოხუცმა და ავადმყოფმა, ძალა მოიკრიბა და მეხსიერებაზე დაყრდნობით, განიზრახა დაკარგულის

აღდგენა. ამ პერიოდის ნამუშევრებიდან ზოგს ეტყობა კიდეც აღდგენის კვალი, ზოგიერთი წარწერა სრულად არ ემთხვევა ნახატის შინაარსს.

დონ კრისტოფორო დე კასტელის წერილებიდან ჩანს, რომ მისი მრავალი ნახატი გაიფანტა სხვადასხვა მიზეზით: გაჩუქების, გაყიდვის, დაკარგვის და დაღუპვის გამო. ზოგიერთი მათგანის სახელწოდებას თვით მხატვარი გვამცნობს.

1638 წლის მარტში, როცა გორის მისიის ხელმძღვანელმა პიეტრო ავიტაბილემ საქარველოს სამუდამოდ დატოვება განიზრახა, გორიდან გაიარა სამეგრელოში და გურიასაც ეწვია. გურიიდან მან წაიღო ქრისტოფორო კასტელის მიერ ზეთის საღებავით ტილოზე დახატული წმ. ნიკოლოზ ბარის პორტრეტი, რომელიც მას პატრიარქ-პრინცის მალაქიას თხოვნით შეუქმნია. წმ. ნიკოლოზს ადგილობრივები დიდ პატივს სცემდნენ. მის მიმართ ასეთი მოკრძალება გამოიწვია იმ ხანძარმა, რომელმაც მისიონერების სახლი შთანთქა, მაგრამ გადარჩა წმინდანის პორტრეტი, რაც მისიონერებმა და მოსახლეობამ სასწაულს მიაწერეს. იტალიაში ჩასულ პიეტრო ავიტაბილეს თავისმა მამამ სთხოვა კასტელის მიერ დახატული წმ. ნიკოლოზ სახეწმინდანის მისთვის ეჩუქებინა. პიეტრომ მამას თხოვნა შეუსრულა. ასე აღმოჩნდა ფლორენციის სასახლის ბიბლიოთეკის ფრონტონზე წმ. ნიკოლოზი ლამაზი ორნამენტით. ასეთი იხილა კრისტოფორო კასტელმა თავისი ნახელავი ფლორენციაში ყოფნის დროს (ლიჩინი პ. ა., 2008: 147:148; პაპაშვილი მ. 2025: 65-69). გთავაზობთ კასტელის წერილის ფრაგმენტს:

როდესაც მამა დონ პიეტრო ავიტაბილე რომში წავიდა, მას გასდავეცი ჩვენი ორი ნახატი, რომლებიც თან წაიღო და რომიდან მომწერა, რომ ისინი დიდად დააფასეს. ასევე ერთი ნახატი, რომელიც მამა ჯილიბერტიმ დაბრუნების შემდეგ წაიღო. იგი განთავსდა სან-სილვესტროს მონასტრის შესასვლელში, და უგანათლებულესმა ბატონმა კარდინალმა ანტონიომ მისი ასლის აღებაც ისურვა თავისთვის. ამას იმიტომ ვამბობ, რომ თქვენმა მამობამ კეთილ ინებოს და გამოიჩინეს სიბეჯითე, რომ რაც შეიძლება მალე გამოგ ზავნოს ის შეხვეული ნივთი (შეიძლება იგულისხმებოდეს ნახატი ან ესკიზი) საიმედო პირით, რადგან თუ ისინი უვნებლად მიაღწევენ იმ მხარეებს, გარწმუნებთ კურთხეული ღვთის წყალობით, რომ ერთხელ აუცილებლად გამოადგება ეს სიბეჯითე, რათა არ დაიკარგონ. ზემოთ ხსენებული მამა ავიტაბილემ ინდოეთიდან მომწერა, რომ ასევე სურს ერთი წყვილი, და ვეცდები, რომ პირველივე შესაძლებლობით ვემსახურო მას. ამდენად, კვლავაც გთხოვთ, რომ ზემოხსენებული ნახატების სათანადო დაცვა მიანდოთ დიდად პატივცემულ მამა გალანოს, რადგან დროთა განმავლობაში ამით უფალს დიდება შეემატება. (დანართი 10)

